ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №17
2023 წლის 28 ივლისი

ქ. ბათუმი

„საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 თებერვლის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-6 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ***დაადგინა:***

1. 1. შევიდეს ცვლილება „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 თებერვლის №10 დადგენილებით (**www.matsne.gov.ge 27/02/2018 წ. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.133.016245**) დამტკიცებულ დანართში ,,საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესი“ და წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ვებგვერდის ზუსტი მისამართია www.khelvachauri.gov.ge”.

2. დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებისთანავე.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — თენგიზ ირემაძე